საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№1/28-2006 2006 წლის 10 მარტი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოების სისტემაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოების სისტემაში სტაჟირების გავლის თანდართული წესი.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოების სისტემაში სტაჟირების გავლის წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში (შემდგომში - სასამართლო) სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს.

2. ამ წესით გათვალისწინებული დებულებები გამოიყენება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში (შემდგომში – საბჭო) სტაჟირების გავლის შემთხვევაში.

მუხლი 2.

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის მიზნით, საბჭო და სასამართლო ახალგაზრდა სპეციალისტებს უქმნის დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისათვის საჭირო პირობებს.

მუხლი 3.

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სტაჟირება – სასამართლოს აპარატში (სტრუქტურულ ერთეულში) ამ წესით რეგულირებადი, ანაზღაურების გარეშე საქმიანობა;

ბ) სტაჟიორი – პირი, რომელიც ამ წესის შესაბამისად გადის სტაჟირებას;

გ) კანდიდატი – პირი, რომელსაც ამ წესის შესაბამისად წარდგენილი აქვს განაცხადი (დანართი 1) სტაჟირების გავლის შესახებ.

თავი II. სტაჟიორის სტატუსი

მუხლი 4.

1. სტაჟიორად შეიძლება დაინიშნოს:

ა) უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს იურისტის კვალიფიკაცია;

ბ) დამამთავრებელი ან დამამთავრებელის წინა კურსის სტუდენტი.

2. სტაჟიორი, როგორც წესი, მიიღება გასაუბრების საფუძველზე. სტაჟიორთა მიღება შეიძლება განხორციელდეს ასევე კონკურსის წესითაც.

მუხლი 5.

1. კანდიდატთან გასაუბრებას ატარებს სტაჟირების კომისია (შემდგომში – კომისია).

2. კომისია კანდიდატებიდან არჩევს საუკეთესო მონაცემებისა და შედეგების მქონე პირებს და ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის სტაჟიორად დანიშვნის მიზანშეწონილობის თაობაზე. თანაბარი ხმების შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომისიის თავმჯდომარის ხმას.

3. სასამართლოში კანდიდატის დანიშვნას ახორციელებს სასამართლოს თავმჯდომარე კომისიასთან შეთანხმებით, ხოლო საბჭოში სტაჟირების გავლის შემთხვევაში – საბჭოს მდივანი.

მუხლი 6.

1. სასამართლოში სტაჟირების გავლის თაობაზე განაცხადის წარდგენისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

2. საბჭოში სტაჟირების გავლის შემთხვევაში განაცხადი წარედგინება საბჭოს საკადრო საკითხთა და საქმისწარმოების დეპარტამენტს.

მუხლი 7.

1. სტაჟირების ვადა განისაზღვრება არა უმეტეს 6 თვით.

2. განსაკუთრებულ შემთხვევაში, სტაჟირების ვადა დამატებით შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 6 თვით. გადაწყვეტილებას სტაჟირების ვადის გაგრძელების თაობაზე იღებს სასამართლოს თავმჯდომარე კომისიასთან შეთანხმებით.

3. სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში სტაჟიორს ეძლევა სტაჟირების სერტიფიკატი.

მუხლი 8.

სტაჟიორთა რაოდენობა, როგორც წესი, სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს შტატით გათვალისწინებულ მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 1/3-ს.

მუხლი 9.

1. სტაჟიორის სასამართლოში მიღებისას იხსნება მისი პირადი საქმე.

2. სტაჟიორის პირადი საქმის წარმოება და მისი შემდგომი კონტროლი ევალება სასამართლოს იმ სტრუქტურულ ერთეულს, რომლის კომპეტენციაშიც შედის საკადრო საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გაფორმება.

თავი III. სტაჟიორის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 10.

1. სტაჟიორს უფლება აქვს:

ა) სასამართლოს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ნებართვით გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას (საარქივო მასალებს), ისარგებლოს

სათანადო ინფორმაციით (ბიბლიოთეკით, ელექტრონული საშუალებებით და სხვა), თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს; დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს სასამართლოს ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;

ბ) გაეცნოს სასამართლოს სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის სპეციფიკას, იმ საკითხების მომზადებასა და სათანადო დოკუმენტების შედგენას, რომლებიც მოცემულ სფეროს განეკუთვნება და მიღებული ცოდნა გამოიყენოს დაკისრებული დავალებების შესრულებისას.

2. სტაჟიორი შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მითითებით და პასუხისმგებელი მოხელის მეთვალყურეობით ასრულებს კონკრეტულ, ცალკეულ დავალებებს, რომელიც შეიძლება ეხებოდეს სასამართლოს სტრუქტურული ქვედანაყოფის ან ზოგადად სასამართლოს საქმიანობის საკითხებს.

მუხლი 11.

1. სტაჟიორს უფლება აქვს დააყენოს წინადადება კომისიის თავმჯდომარის წინაშე იმავე სასამართლოს სხვა სტრუქტურულ ერთეულში ან სხვა სასამართლოში გადაყვანის შესახებ.

2. კომისიის თავმჯდომარე სტაჟიორის მოსწრებისა და ცოდნის დონის, აგრეთვე სასამართლოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სტაჟიორის გადაყვანის შესახებ.

მუხლი 12.

1. სტაჟიორი მოვალეა:

ა) გაეცნოს საერთო სასამართლოების მარეგლამენტირებელ კანონმდებლობას და მასზე დაკისრებული დავალებების შესრულებისას იხელმძღვანელოს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით;

ბ) დადგენილ ვადებში შეასრულოს სასამართლოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ყველა დავალება.

2. სტაჟიორი ვალდებულია სტაჟირების პერიოდში სასამართლოს თავმჯდომარის ან შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მითითების შემთხვევაში აწარმოოს პირადი მოსწრების დღიური და მასში ასახოს ჩატარებული სამუშაოები თემატიკის ჩვენებით.

მუხლი 13.

1. სტაჟიორი ვალდებულია სასამართლოში გამოცხადდეს და იმყოფებოდეს სასამართლოს შინაგანაწესით გათვალისწინებულ მოხელეთა სამსახურში გამოცხადებისა და ყოფნის დროისათვის.

2. დამამთავრებელი კურსის სტუდენტი სტაჟიორისათვის სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შეიძლება განისაზღვროს სასამართლოში გამოცხადებისა და ყოფნის განსხვავებული რეჟიმი.

3. ხელწერილი ამ წესისა და სასამართლოს შინაგანაწესის გაცნობის შესახებ თან ერთვის სტაჟიორის პირად საქმეს.

თავი IV. სასამართლოს მოვალეობები

მუხლი 14.

სასამართლოს ადმინისტრაცია სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

მუხლი 15.

1. სტაჟირების უშუალო ხელმძღვანელი პირადად აკონტროლებს სტაჟიორის მიერ პირადი მოსწრების დღიურის წარმოებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იგი სტაჟიორს პერიოდულად აწვდის სასწავლო თემატიკას, აძლევს დავალებებს და შესაბამისად აკონტროლებს მათ შესრულებას.

2. სტაჟირების უშუალო ხელმძღვანელი ვალდებულია სტაჟიორს მისცეს მიმართულება და საჭიროების შემთხვევაში განუსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული ვადა, მიაწოდოს აღნიშნულთან დაკავშირებით დროული და სწორი ინფორმაცია.

მუხლი 16.

სტაჟირების უშუალო ხელმძღვანელი ვალდებულია სასამართლოს თავმჯდომარეს სისტემატურად ან წინასწარ დადგენილ ვადაში ჩააბაროს ანგარიში სტაჟირების მიმდინარეობის შესახებ.

თავი V. სტაჟირების კომისია

მუხლი 17.

1. სტაჟიორების შერჩევის მიზნით იქმნება შესაბამისი სასამართლოს სტაჟირების კომისია.

2. სტაჟირების კომისია, როგორც წესი, შედგება კომისიის თავმჯდომარისა და 6 წევრისაგან.

3. კომისიის თავმჯდომარეს საბჭოს მდივნის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საბჭო. კომისიის წევრებს საბჭოს მდივანთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს კომისიის თავმჯდომარე.

4. კომისიის თავმჯდომარე, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია კომისიის სხდომაზე მოიწვიოს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე.

5. საბჭოს სტაჟირების კომისია იქმნება ამ მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 18.

1. კომისია, როგორც წესი, გასაუბრებას აწყობს წელიწადში ორჯერ.

2. გადაწყვეტილებას გასაუბრების გადადების შესახებ იღებს კომისიის თავმჯდომარე საბჭოს მდივანთან შეთანხმებით.

3. კომისიის გადაწყვეტილებით გასაუბრებასთან ერთად შეიძლება ჩატარდეს ტესტირებაც.

თავი VII. სტაჟირების გავლის სხვა პირობები

მუხლი 19.

1. სტაჟირების შეწყვეტის საფუძველია:

ა) სტაჟირების პერიოდში სასამართლოში არასაპატიო მიზეზით 5 დღის განმავლობაში გამოუცხადებლობა ან დაგვიანებით გამოცხადება;

ბ) დავალების შეუსრულებლობა;

გ) სასამართლოსათვის ქონებრივი ზიანის მიყენება;

დ) საზოგადოებრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და სასამართლოს დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი;

ე) პირადი განცხადება;

ვ) სტაჟიორის დანიშვნა რაიმე თანამდებობაზე;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საფუძვლები.

2. სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლოს თავმჯდომარე კომისიასთან შეთანხმებით.

მუხლი 20.

საბჭოსა და საერთო სასამართლოებში ამ წესის შესაბამისად სტაჟირების გავლას საერთო კოორდინაციას უწევს საბჭოს საკადრო საკითხთა და საქმისწარმოების დეპარტამენტი. დეპარტამენტი ვალდებულია სტაჟირების საკითხებზე 6 თვეში ერთხელ ინფორმაცია მიაწოდოს საბჭოს მდივანსა და კომისიის თავმჯდომარეს.

დანართი 1

განაცხადი სტაჟირებაზე

1. გვარი, სახელი ----------
2. დაბადების ადგილი, თარიღი ----------
3. მოქალაქეობა ----------
4. პირადობის მოწმობის ნომერი ----------
5. ოჯახური მდგომარეობა ----------
6. საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი:

   ---
7. განათლება (როდის, რომელი სასწავლებელი დაამთავრეთ)

როდიდან	როდემდე	სასწავლებელი	ფაკულტეტი

8. ამჟამად სწავლობთ თუ არა, მიუთითეთ სად?
---

9. სპეციალობა, კვალიფიკაცია (დიპლომის მიხედვით) და დიპლომის №

სპეციალობა	კვალიფიკაცია	დიპლომის №

10. რომელ უცხო ენებს ფლობთ, ცოდნის დონე:

შეაფასეთ ენის ცოდნის დონე შემდეგი ტერმინებით: სუსტად, საშუალოდ, კარგად, სრულყოფილად.

ენა	კითხვა	მეტყველება	წერა

11. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:
---

12. რატომ აირჩიეთ აღნიშნული სპეციალობა, მოკლედ ჩამოაყალიბეთ თქვენი პროფესიონალური გეგმები და მიზნები

13. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (სასამართლოს) რომელ სტრუქტურულ ქვედანაყოფში გსურთ სტაჟირების გავლა.

14. თქვენი ინტერესთა სფეროები

15. რა სახის გრანტები და სტიპენდიები გაქვთ მოპოვებული წარსულში:

როდის	ორგანიზაცია - დაწესებულება	თანხის ოდენობა

16. შრომითი საქმიანობა

როდიდან-როდემდე	უწყება, ორგანიზაცია	თანამდებობა	მისამართი უწყება-ორგანიზაციის, სადაც მუშაობდით

17. ხართ თუ არა საზღვარგარეთ ნამყოფი კვალიფიკაციის ამაღლების ან სხვა პროფესიული მიზნით: სად, როდის?

---

18. სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულება და სამხედრო წოდება: როდის გაქვთ მინიჭებული და რომელი ორგანო-დაწესებულებისგან

---

19. ერთი რეკომენდაცია

(მიუთითეთ რეკომენდატორის სახელი და გვარი და საკონტაქტო მონაცემები)

20. გთხოვთ ცალკე ფურცელზე დეტალურად დაასაბუთოთ, თუ რას ელით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში (სასამართლოში) სტაჟირებისაგან. დაიცავით ქვემოთ მოცემული ინსტრუქციები ფორმატისა და შინაარსის შესახებ.

ფორმატი

არაუმეტეს ერთი ნაბეჭდი გვერდისა 1,5 ინტერვალით

შინაარსი

ა) თქვენი პროფესიული მიზნები;

ბ) რა როლს ითამაშებს საბჭოში ან სასამართლოში სტაჟირება აღნიშნული მიზნების მისაღწევად?

გ) რატომ აირჩიეთ თქვენს მიერ ზემოთ მითითებული სტრუქტურული ქვედანაყოფი სტაჟირებისათვის?

დ) როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი წვლილი აღნიშნული სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობაში?

ე) მოკლედ აღწერეთ საბჭოში (სასამართლოში) თქვენი სტაჟირების სავარაუდო შედეგები და მათი გამოყენება თქვენს შემდგომ პროფესიულ საქმიანობაში.

21. გთხოვთ, წარმოადგინოთ ცალკე ფურცელზე შემდეგი საბუთები:

ა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი

ბ. თქვენი აქტუალური CV

გ. ფოტოსურათი

დ. დიპლომის ასლი (ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან)

ე. რეკომენდაცია/შუამდგომლობა

22. შენიშვნები

შევსების თარიღი ----------

პირადი ხელმოწერა ----------